

სავარჯიშოების რვეული

მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი





მასალა მომზადებულია სასწავლო პროგრამისათვის თემაზე: მუნიციპალური ქონების მართვის ეკონომიკური საფუძვლები, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) დაკვეთით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციას.

სარჩევი

I თავი. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების თანამედროვე მიგომები 4

1.1. ჯგუფური სავარჯიშო 1.1 - ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) შეფასება..... 4

1.2. ჯგუფური სავარჯიშო 1.2 - გარემოზე ზემოქმედების შეფასება 4

II თავი. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენის შეფასება საზოგადოების მიზნობრივ ჯგუფებზე 5

2.1. ჯგუფური სავარჯიშო 2. საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფის იდენტიფიცირება 5

III თავი. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენა შრომის ბაზრისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე 6

3.1. ჯგუფური სავარჯიშო 3. ადამიანური კაპიტალის განვითარების მუნიციპალური პროგრამის დაგეგმვა **Error! Bookmark not defined.**

IV თავი. ინფრასტრუქტურული პროექტების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასება.... 7

4.1: ჯგუფური სავარჯიშო 4. პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის შეფასება დისკონტირებული წმინდა მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებით 7

V თავი. საჯარო-კერძო პარტნიორობით (PPP) განხორციელებული პროექტების გავლენა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე 8

5.1: ჯგუფური სავარჯიშო 5.1. PPP პროექტის მიზანშეწონილობის შეფასება..... 8

5.2: ჯგუფური სავარჯიშო 5.2. PPP პროექტის ეკონომიკური და სოციალური ეფექტების შეფასება 9

VI თავი. მუნიციპალური გადაწყვეტილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების მატრიცა..... 9

6.1: ჯგუფური სავარჯიშო 6. მუნიციპალური გადაწყვეტილებების შეფასების მატრიცა..... 9

I თავი. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების თანამედროვე მიდგომები

ჯგუფური სავარჯიშო 1.1. ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) შეფასების დოკუმენტის ანალიზი

სავარჯიშოს მიზანი: მონაწილეები გაეცნონ ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) დოკუმენტის სტრუქტურას და მოახდინონ მათი შეფასება.

მონაწილეთა რაოდენობა: სავარჯიშოს შესრულებაში ერთვება ტრენინგის ყველა მონაწილე, რომლებიც დაიყოფიან 3-5 კაციან ჯგუფებად (სასურველია 3-4 ჯგუფის შექმნა).

ხანგრძლივობა: 30-40 წთ.

საჭირო მასალები: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭიროა 10 ფლიპჩარტის ფურცელი, 10 მარკერი, დასარიგებელი მასალა - 100 გვ.

მიმდინარეობა: თითოეულ ჯგუფს მიეწოდება კონკრეტული ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) შეფასების დოკუმენტი და მიეცემათ დავალება, გაეცნონ დოკუმენტის სტრუქტურას და განსაზღვრონ ტრენინგზე განხილული მასალის შესაბამისად, მიწოდებული დოკუმენტის სტრუქტურის არანაკლებ 3 ძლიერი და 3 სუსტი მხარე - რა არის კარგად გადმოცემული და რა შედარებით სუსტად. თითოეული ჯგუფი გააკეთებს საკუთარი მიგნებების პრეზენტაციას, რაც დისკუსიის რეჟიმში იქნება განხილული სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად.

შენიშვნა: ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) შეფასების განსახილველ დოკუმენტს ტრენერი მიაწოდებს მსმენელებს.

განხილვა: დავალების პროცესში დასმული ძირითადი კითხვები იქნება: 1. რა კომპონენტი აკლია განხილული დოკუმენტის სტრუქტურას? 2. რა კომპონენტები არის კარგად წარმოდგენილი დოკუმენტის სტრუქტურაში?

რეკომენდაცია: აუცილებელია ტრენერმა შეარჩიოს დოკუმენტი, რომელიც თავად კარგად ექნება გაანალიზებული, მათ შორის მისი შინაარსობრივი მხარე და არა მხოლოდ სტრუქტურა.

ჯგუფური სავარჯიშო 1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის ანალიზი

სავარჯიშოს მიზანი: მონაწილეები გაეცნონ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტის სტრუქტურას და მოახდინონ მათი შეფასება.

მონაწილეთა რაოდენობა: სავარჯიშოს შესრულებაში ერთვება ტრენინგის ყველა მონაწილე, რომლებიც დაიყოფიან 3-5 კაციან ჯგუფებად (სასურველია 3-4 ჯგუფის შექმნა).

ხანგრძლივობა: 30-40 წთ.

საჭირო მასალები: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭიროა 10 ფლიპჩარტის ფურცელი, 10 მარკერი, დასარიგებელი მასალა - 100 გვ.

მიმდინარეობა: თითოეულ ჯგუფს მიეწოდება კონკრეტული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტი და მიეცემათ დავალება, გაეცნონ დოკუმენტის სტრუქტურას და განსაზღვრონ ტრენინგზე განხილული მასალის შესაბამისად, მიწოდებული დოკუმენტის სტრუქტურის არანაკლებ 3 ძლიერი და 3 სუსტი მხარე - რა არის კარგად გადმოცემული და რა შედარებით სუსტად. თითოეული ჯგუფი გააკეთებს საკუთარი მიგნებების პრეზენტაციას, რაც დისკუსიის რეჟიმში იქნება განხილული სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად.

შენიშვნა: გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) განსახილველ დოკუმენტს ტრენერი მიაწოდებს მსმენელებს.

განხილვა: დავალების პროცესში დასმული ძირითადი კითხვები იქნება: 1. რა კომპონენტი აკლია განხილული დოკუმენტის სტრუქტურას? 2. რა კომპონენტები არის კარგად წარმოდგენილი დოკუმენტის სტრუქტურაში?

რეკომენდაცია: აუცილებელია ტრენერმა შეარჩიოს დოკუმენტი, რომელიც თავად კარგად ექნება გაანალიზებული, მათ შორის მისი შინაარსობრივი მხარე და არა მხოლოდ სტრუქტურა.

II თავი. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენის შეფასება საზოგადოების მიზნობრივ ჯგუფებზე

ჯგუფური სავარჯიშო 2. საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფის იდენტიფიცირება

სავარჯიშოს მიზანი: სავარჯიშოს მიზანია მონაწილეებმა შეისწავლონ მიზნობრივი ჯგუფის იდენტიფიცირების სპეციფიკა

მონაწილეთა რაოდენობა: მონაწილეობს მთელი ჯგუფი

ხანგრძლივობა: 50 წთ.

საჭირო მასალები: 4 ფლიპჩარტის ფურცელი; 1 ფლიპფჩარტის დაფა; 4 სხვადასხვა ფერის მარკერი;

მიმდინარეობა: მონაწილეები იყოფიან 4 თანაბარი შემადგენლობის ჯგუფად; ტრენერი თითოეულ ჯგუფს აძლევს კონკრეტული თვითმმართველობის შერჩევის საშუალებას.

ტრენერი ჯგუფის მონაწილეებს აცნობს ინსტრუქციას:

ჯგუფებმა უნდა მოახდინონ ეკონომიკური გაძლიერების მიზნით სამიზნე ჯგუფის შერჩევა და პროგრამის მონახაზის შედგენა. დავალების პირველ ნაწილში მათ უნდა მოახდინონ ჯგუფის შერჩევა და მისი სპეციფიკის განსაზღვრა. დავალების მეორე ნაწილში მონაწილეებმა უნდა შეიმუშაონ პროგრამის საქმიანობების სამიზნე ჯგუფზე გავლენის შეფასების მექანიზმი.

თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს ფლიფჩართის ფურცელზე:

- ჯგუფის შერჩევის სპეციფიკა
- ჯგუფის სტრუქტურა და სიდიდე
- პროგრამის მიზანი და ამოცანები
- შედეგის გასაზომად საჭირო ინდიკატორები

განხილვა: ტრენერი ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, ტრენინგის მონაწილეები მიერ თემის უკეთ აღქმის შესაძლებლობას იძლევა.

რეკომენდაცია: ტრენერმა სასურველია ჯგუფებს წინასწარ მიაწოდოს მოწყვლადი ჯგუფების ჩამონათვალი.

III თავი. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენა შრომის ბაზრისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე

ჯგუფური სავარჯიშო 3. ადამიანური კაპიტალის განვითარების მუნიციპალური პროგრამის დაგეგმვა

სავარჯიშოს მიზანი: სავარჯიშოს მიზანია მონაწილეებმა შეისწავლონ ადამიანური კაპიტალის მუნიციპალური პროგრამის დაგეგმვის სპეციფიკა

მონაწილეთა რაოდენობა: მონაწილეობს მთელი ჯგუფი

ხანგრძლივობა: 40 წთ.

საჭირო მასალები: 4 ფლიპჩარტის ფურცელი; 1 ფლიპფჩარტის დაფა; 4 სხვადასხვა ფერის მარკერი;

მიმდინარეობა: მონაწილეები იყოფიან 4 თანაბარი შემადგენლობის ჯგუფად; ტრენერი თითოეულ ჯგუფს აძლევს კონკრეტული თვითმმართველობის შერჩევის საშუალებას.

ტრენერი ჯგუფის მონაწილეებს აცნობს ინსტრუქციას:

ჯგუფებმა უნდა მოახდინონ ადამიანური კაპიტალის განვითარების პროგრამის მონახაზის შედგენა. დავალების მსვლელობის პერიოდში ჯგუფებმა უნდა განსაზღვრონ პროგრამის მიზანი და ამოცანები, ასევე სამიზნე ჯგუფები.

თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს ფლიპჩარტის ფურცელზე:

- პროგრამის მიზანი და ამოცანა
- პროგრამის სამიზნე ჯგუფი

- პროგრამის საქმიანობები
- პროგრამის წარმატების შეფასების ინდიკატორები

განხილვა: ტრენერი ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, ტრენინგის მონაწილეები მიერ თემის უკეთ აღქმის შესაძლებლობას იძლევა.

რეკომენდაცია: ტრენერმა სასურველია ჯგუფებს შორის მუნიციპალიტეტების განაწილების დროს გაითვალისწინოს მონაწილეთა სამუშაო ადგილი.

IV თავი. ინფრასტრუქტურული პროექტების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასება

ჯგუფური სავარჯიშო 4. პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის შეფასება დისკონტირებული წმინდა მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებით

სავარჯიშოს მიზანი: მონაწილეები გაეცნონ ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) დასაბუთების დოკუმენტის შეფასების პრაქტიკულ ასპექტებს.

მონაწილეთა რაოდენობა: სავარჯიშოს შესრულებაში ერთვება ტრენინგის ყველა მონაწილე, რომლებიც დაიყოფიან 3-5 კაციან ჯგუფებად (სასურველია 3-4 ჯგუფის შექმნა).

ხანგრძლივობა: 30-40 წთ.

საჭირო მასალები: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭიროა 10 ფლიპჩარტის ფურცელი, 10 მარკერი, დასარიგებელი მასალა - 100 გვ. (შენიშვნა: იგივე მასალა, რაც გამოყენებული იყო სავარჯიშო 1-ში).

მიმდინარეობა: თითოეულ ჯგუფს მიეწოდება კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი, რომლის გაცნობის შემდეგ, მასში მოცემული პირველადი მაჩვენებლების საფუძველზე გააკეთებენ დისკონტირებული წმინდა მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებას და მისი მეშვეობით, პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის შეფასებას. ასევე იმსჯელებენ, პროექტის არა ფინანსური (სოციალური) ეფექტების შესახებ. თითოეული ჯგუფი გააკეთებს საკუთარი მიგნებების პრეზენტაციას, რაც დისკუსიის რეჟიმში იქნება განხილული სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად.

შენიშვნა: ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განსახილველ დოკუმენტს ტრენერი მიაწოდებს მსმენელებს.

განხილვა: დავალების პროცესში დასმული ძირითადი კითხვები იქნება: 1. რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის განხორციელება ეკონომიკური თვალსაზრისით, სოციალური თვალსაზრისით? 2. როგორც შეიძლება პროექტის შემდგომი გაუმჯობესება?

რეკომენდაცია: აუცილებელია ტრენერმა შეარჩიოს დოკუმენტი, რომელიც თავად კარგად ექნება გაანალიზებული, მათ შორის მისი შინაარსობრივი მხარე და არა მხოლოდ სტრუქტურა.

V თავი. საჯარო-კერძო პარტნიორობით (PPP) განხორციელებული პროექტების გავლენა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე

ჯგუფური სავარჯიშო 5.1. PPP პროექტის მიზანშეწონილობის შეფასება

სავარჯიშოს მიზანი: მონაწილეები გაეცნონ PPP პროექტის მიზანშეწონილობის შეფასების ტექნიკას რეალური შემთხვევის საფუძველზე.

მონაწილეთა რაოდენობა: სავარჯიშოს შესრულებაში ერთვება ტრენინგის ყველა მონაწილე, რომლებიც დაიყოფიან 3-5 კაციან ჯგუფებად (სასურველია 3-4 ჯგუფის შექმნა).

ხანგრძლივობა: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭირო დრო არის 30-40 წთ.

საჭირო მასალები: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭიროა 10 ფლიპჩარტის ფურცელი, 10 მარკერი, დასარიგებელი მასალა - 100 გვ. (შენიშვნა: იგივე მასალა, რაც გამოყენებული იყო სავარჯიშო 1-ში).

მიმდინარეობა: თითოეულ ჯგუფს მიეწოდება კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი, რომლის გაცნობის შემდეგ, შეაფასებენ აღნიშნული პროექტის საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმით განხორციელების მიზანშეწონილობას. თითოეული ჯგუფი ჩამოაყალიბებს არანაკლებ 5 კონკრეტულ არგუმენტს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, რომელთა შესახებაც, პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება დისკუსია, სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად.

შენიშვნა: ინფრასტრუქტურული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განსახილველ დოკუმენტს ტრენერი მიაწოდებს მსმენელებს პირველი სავარჯიშოს განხილვისას.

განხილვა: დავალების პროცესში დასმული ძირითადი კითხვები იქნება: 1. რა ძირითადი ფაქტორები განაპირობებენ წარმოდგენილი პროექტის საჯარო-კერძო თანამშრომლობით განხორციელების მიზანშეწონილობას/მიზანშეუწონლობას?

რეკომენდაცია: აუცილებელია ტრენერმა შეარჩიოს დოკუმენტი, რომელიც თავად კარგად ექნება გაანალიზებული, მათ შორის მისი შინაარსობრივი მხარე და არა მხოლოდ სტრუქტურა; შესაძლებელი უნდა იყოს განსახილველი დოკუმენტის შეფასება მრავალმხრივად, რათა დარჩეს ადგილი განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის.

ჯგუფური სავარჯიშო 5.2. PPP სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასება

სავარჯიშოს მიზანი: მონაწილეები გაეცნონ PPP პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების ტექნიკას რეალური შემთხვევის საფუძველზე.

მონაწილეთა რაოდენობა: სავარჯიშოს შესრულებაში ერთვება ტრენინგის ყველა მონაწილე, რომლებიც დაიყოფიან 3-5 კაციან ჯგუფებად (სასურველია 3-4 ჯგუფის შექმნა).

ხანგრძლივობა: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭირო დრო არის 30-40 წთ.

საჭირო მასალები: სავარჯიშოს შესრულებისათვის საჭიროა 10 ფლიპჩარტის ფურცელი, 10 მარკერი, დასარიგებელი მასალა - 100 გვ. (შენიშვნა: იგივე მასალა, რაც გამოყენებული იყო სავარჯიშო 1-ში).

მიმდინარეობა: თითოეულ ჯგუფს მიეწოდება კონკრეტული PPP პრინციპით დაგეგმილი/განხორციელებული პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტი, რომლის გაცნობის შემდეგ, მონაწილეები შეაფასებენ მოცემული PPP პროექტის სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტებს, წარმოადგენენ საკუთარ არგუმენტირებულ შეფასებებს, რომლებიც განხილული იქნება დისკუსიის რეჟიმში სხვა ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად.

შენიშვნა: PPP პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების განსახილველ დოკუმენტს ტრენერი მიაწოდებს მსმენელებს.

განხილვა: 1. რა სარგებელი შეიძლება მიიღოს და საზოგადოების რომელმა კონკრეტულმა ჯგუფმა განხილული პროექტის განხორციელების შედეგად?

რეკომენდაცია: აუცილებელია ტრენერმა შეარჩიოს დოკუმენტი, რომელიც თავად კარგად ექნება გაანალიზებული, მათ შორის მისი შინაარსობრივი მხარე და არა მხოლოდ სტრუქტურა; შესაძლებელი უნდა იყოს განსახილველი დოკუმენტის შეფასება მრავალმხრივად, რათა დარჩეს ადგილი განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბებისათვის.

VI თავი. მუნიციპალური გადაწყვეტილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების მატრიცა

ჯგუფური სავარჯიშო 6. მუნიციპალური გადაწყვეტილებების შეფასების მატრიცა

სავარჯიშოს მიზანი: სავარჯიშოს მიზანია მონაწილეებმა გააცნობიერონ მუნიციპალური გადაწყვეტილებების შეფასების მატრიცის შედგენის სპეციფიკას

მონაწილეთა რაოდენობა: მონაწილეობს მთელი ჯგუფი

ხანგრძლივობა: 40 წთ.

საჭირო მასალები: 4 ფლიპჩარტის ფურცელი; 1 ფლიპფჩარტის დაფა; 4 სხვადასხვა ფერის მარკერი;

მიმდინარეობა: მონაწილეები იყოფიან 4 თანაბარი შემადგენლობის ჯგუფად; ტრენერს შერჩეული აქვს 3 ინფრასტრუქტურული პროექტის ალტერნატივა.

ტრენერი ჯგუფის მონაწილეებს აცნობს ინსტრუქციას:

ჯგუფებმა უნდა მოახდინონ 3 ალტერნატივის შეფასება და საუკეთესოს გამოვლენა. დავალების პირველ ნაწილში მათ უნდა მოახდინონ ალტერნატივების შეფასებისთვის საჭირო მიმართულებების/სფეროების იდენტიფიცირება და წონების მინიჭება. დავალების მეორე ნაწილში მონაწილეებმა უნდა შეიმუშაონ თითოეული მიმართულების მიხედვით 2-3 ინდიკატორი და მოახდინონ 5 ბალიანი სისტემით შეფასება. ასევე უნდა განსაზღვრონ კრიტერიუმების წონები. დავალების მესამე ნაწილში ჯგუფებმა უნდა მოახდინონ მატრიცის შევსება და ალტერნატივების საბოლოო შეფასება საუკეთესოს გამოვლენის მიზნით.

თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს ფლიპჩარტის ფურცელზე:

- მიმართულებები და მათი წონები
- კრიტერიუმები და მათი წონები
- კრიტერიუმების შეფასება
- ალტერნატივების საბოლოო შეფასება

განხილვა: ტრენერი ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, რაც ტრენინგის მონაწილეების მიერ თემის უკეთ აღქმის შესაძლებლობას იძლევა.

რეკომენდაცია: ტრენერმა სასურველია ჯგუფებს წინასწარ დაურიგოს მატრიცის ფორმები, რათა იოლად მოხდეს სავარჯიშოების ტექნიკური შესრულება.